

სოციალური დიალოგი საქართველოში და მისი გავლენა შრომით
პოლიტიკაზე

თორნიკე დვალი

სამაგისტრო ნაშრომი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიმიტრი ჯაფარიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი, 2019

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თორნიკე დვალი

25.06.2019

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი დაკავშირებულია საქართველოში არსებული სოციალური დიალოგის პროცესის ეფექტურობის და მისი შრომით პოლიტიკაზე გავლენის შეფასებასთან. კვლევის მიზანია გაირკვეს რამდენად იქცა სოციალური დიალოგი შრომითი პოლიტიკის ფორმირების ეფექტურ ინსტრუმენტად 2013-2018 წლების პერიოდში.

2004-2012 წლებში საქართველოში განხორციელებულმა სტრუქტურულმა რეფორმებმა მნიშვნელოვნად შეამცირა დასაქმებულთა უფლებების დაცვის სამართლებრივი გარანტიები. მოცემულ პერიოდში მიღებული შრომის კოდექსის შედეგად, შრომით ურთიერთობებში დასაქმებული უპირატეს მდგომარეობაში იქნა ჩაყენებული. ამასთან, შრომით პირობებზე და შრომით ურთიერთობებზე ზედამხედველობის სახელმწიფოს მექანიზმის გაუქმებამ ფორმალური გახადა, შრომის უფლების დაცვის ნომინალური სამართლებრივი გარანტიებიც კი.

2012 წელს არჩევნების გზით, კონსტიტუციურ ვადებში პირველად შეიცვალა ხელისუფლება საქართველოში. აღნიშნულ დემოკრატიულ ტრანზიციას შრომითი პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი მოყვა. განხორციელდა ცვლილებები შრომით კანონმდებლობაში და თავიდან ჩამოყალიბდა შრომის პირობებზე ზედამხედველობის მექანიზმი. ამასთან, კანონმდებლობის დონეზე განისაზღვრა სოციალური დიალოგის ეროვნულ დონეზე არსებული სამმხრივი მექანიზმის - სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის - ფუნქციონირების საფუძვლები. მიუხედავად აღნიშნული ცვლილებებისა, შრომითი უფლებების დარღვევის ნეგატიური დინამიკა მნიშვნელოვნად იქნა შენარჩუნებული მოცემულ პერიოდში.

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას გაირკვეს რამდენად ახდენდა სახელმწიფოს შრომით პოლიტიკაზე გავლენას სოციალური პარტნიორობის ჩართულობით არსებული სოციალური დიალოგის პროცესი. ამ მიზნით, შეფასდება სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მუშაობის ეფექტურობა და მისი შესაძლო კავშირი შრომის სფეროში მიღებულ

მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან. ამასთან, კვლევის პროცესში მოხდება იმ დამოუკიდებელი ცვლადების იდენტიფიცირება, რომლებიც ზემოქმედებდნენ სახელმწიფოს შრომით პოლიტიკაზე.

ნაშრომი მეთოდოლოგიური თვალსაზრისით თვისებრივი კვლევის ხასიათს ატარებს და დაფუძნებულია შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდზე. ამასთან, ნაშრომი იყენებს ე.წ. პროცესის მიდევნების (Process Tracing) მიდგომას, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს რამდენად ახდენდა გავლენას კვლევის დამოუკიდებელი ცვლადი (სოციალური დიალოგი) კვლევის დამომკიდებელ ცვლადზე (შრომით პოლიტიკაზე). ამასთან, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია დოკუმენტების კონტენტ ანალიზის, ჩაღრმავებული ინტერვიუების და მეორადი წყაროები ანალიზის მიდგომები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში სოციალური დიალოგის პროცესის ნომინალურ ხასიათს ატარებს და ვერ ახდენს რეალურ გავლენას სახელმწიფოს შრომით პოლიტიკაზე. კვლევის შედეგად გამოვლინა ორი დამოუკიდებელი ცვლადი, რომლებიც განაპირობებდა სახელმწიფოს შრომითი პოლიტიკას. ამ კუთხით, სამუშაო ადგილებზე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევები და სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები იყო ის ფაქტორები, რომლებზეც რეაგირების რეჟიმშიც ფორმირდებოდა და ხორციელდება სახელმწიფოს პოლიტიკა.

მოცემული ნაშრომი აგრძელებს პოსტ-სოციალისტური სახელმწიფოებში არსებული პოლიტ-ეკონომიკური სისტემების კვლევის ტრადიციას და საქართველოში სოციალური დიალოგის შესწავლის პროცესი სავარაუდოდ მოკრძალებულ წვლილს შეიტანს აღნიშნულ აკადემიურ პროცესში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შრომითი პოლიტიკა, სოციალური დიალოგი, სოციალური პარტნიორები, ტრაგიკული შემთხვევები, საერთაშორისო ვალდებულებები.

Abstract

The abovementioned thesis is related to the assessment of the effectiveness of social dialogue in Georgia and its influence over the labour policy. The main goal of this research is to find out whether the social dialogue became the effective instrument to formulate the labour policy during 2013-2018.

As a result of the structural reforms carried out between 2004 and 2012, the legal guarantee of workers' rights was significantly weakened. Labour code adopted during this period gave the imbalanced supremacy to the employer in the labour relations. Besides, the abolition of the state supervisory body monitoring over the labour relations and labour conditions made formality even the nominal legal guarantee of the protection of labour rights.

In 2012, the government was changed through the parliamentary election within the constitutional term for the first time in Georgia. This democratic transition was followed by the several significant steps taken towards the labour policy. The amendments were made in the labour code and the state supervisory body over the labour condition was reestablished. Furthermore, the legal basis was created for the functioning of the national platform of social dialogue – Tripartite Social Partnership Commission. Despite these changes, the negative dynamics of the violation of labour rights was remained during this period.

This research represents an attempt to figure out how the process of social dialogue influenced on the state's labour policy. To this end, the effectiveness of the Tripartite Social Partnership Commission and its potential link to the decisions made in the field of labour policy will be assessed. Besides, the independent variables will be identified making possible impact on the state's labour policy.

The research methodologically is qualitative and based on the case-study method. Besides, thesis uses the approach of process tracing to identify how the independent variable (social dialogue) influences over the dependent variable (labour policy). Moreover, the content analyses of documents, in-depth interviews and analyses of secondary sources are also used as the research methods.

The finding of the research demonstrates that the process of social dialogue in Georgia has nominal nature and is unable to influence on the state's labour policy. The research identifies two independent variables causing state's labour policy. In this context, tragic incidents at the workplaces and international obligations undertaken by the state are the major factors determining the formulation and implementation of the state's policy.

This thesis continues the study of the political-economic systems existing in the different post-socialistic states and the assessment of the social dialogue in Georgia will probably make a tiny contribution to this academic process.

Key Words: Labour Policy, Social Dialogue, Social Partners, Tragic Accidents, International Obligations.

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი	8
თემის მიზანი, აქტუალობა და საკვლევი კითხვები	8
მეთოდოლოგია	9
საკვლევი ობიექტი	10
ლიტერატურის მიმოხილვა	12
თავი 1. სოციალური დიალოგის დეფინიცია და შრომის საერთაშორისო სტანდარტები	16
1.1. სოციალური დიალოგის ფართოდ გავრცელებული დეფინიცია	16
1.2. სოციალური დიალოგის განსხვავებული ტიპოლოგიები	17